



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ბარამგულანდამიანი“

„ბარამგულანდამიანი“, XVIII ს. ძველი ქართული მწერლობის ანონიმური ძეგლი, მომდინარეობს შუა საუკ. სპარს. ხალხ. დასთანადან „ბაჰრამი და გოლანდამი“, რ-იც XVII ს. პოეტის ამინის ამავე სახელწ. პოემის პროზაული გადამუშავებაა. უცნობ მთარგმნელს (ზოგი ნუსხა მთარგმნელად ვახტანგ VI-ს ასახელებს) საკმაოდ ზუსტად გადმოუღია სპარს. ორიგინალი და ზოგი ჩანართი ლექსი. თარგმანის ენა მარტივია, ხალხ. კილოზე გამართული. თხზულება საინტერესოა რომანული ჟანრის განვითარების თვალსაზრისით, ასახავს მის გვიანდ. ეტაპს (ბარამის მიერ სურათით გამიჯნულება, სატრფოს ძიების გზაზე ათასგვარი რეალური თუ ფანტასტ. წინააღმდეგობის გადალახვა, ჯადოსნური ელემენტები, სატრფიალო წერილების გაცვლა-გამოცვლა, ბედნიერი ფინალი). თხზულება რამდენჯერმე (1880, 1886, 1901) გამოიცა იაფფასიან პატარა წიგნებად. 1773 პეტერბურგში გამოქვეყნდა ს. ეგნატაშვილის მიერ ქართულიდან რუსულად თარგმნილი „ბ.“

ლიტ.: გ ვ ა ხ ა რ ი ა ა., ბარამგულან-დამიანი, «თსუ შრომები», 1967, ტ. 121 - აღმოსავლეთმცოდნეობის სერია; მ ი ს ი ვ ე , სპარსული პროზის ისტორიიდან, თბ., 1973; Похождение принцессы Гуланданы и принца Барама. Текст к изданию подготовила, предисловием и словарем снабдила М. Н. Инасаридзе, Тб., 1983.

ა. გვახარია
